



YACHT

იახტებისათვის

სპეციალური ლაქი იახტებზე (ხის იმ ნაწილებზე რომლებიც მუდმივ წყლის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებიან) მდგრადი და დამცავი ზედაპირების შესაქმნელად. ზღვის და მდინარის გემებისა თუ ნავებისთვის. განსაკუთრებულად მძიმე დატვირთვის ქვეშ მყოფი ხის ზედაპირებისთვის. შიდა და გარე სამუშაოებისთვის.



პროდუქტის აღწერა

შეფუთვის ზომები:

0,75ლ ; 2,5ლ; 10ლ

პროდუქტის უპირატესობები:

იდეალურად ინარჩუნებს ხის ფაქტურას. წყლის ზემოქმედებისადმი შედეგი (აგრეთვე მარილიანი წყლის მიმართ). ძალიან მყარი და ნაკანრების მიმართ მდგრადი.

თვისებები:

შესანიშნავად ინარჩუნებს ხის ფაქტურას, სწრაფად შრება, ცვეთამდეგი, ელასტიური, წყლის ზეგავლენის მიმართ შედეგი. გააჩნია სუსტი არომატი დატანის და შრობისას.

შესაფერისი ზედაპირები:

პარკეტი და სხვა ხის ზედაპირები. ძველი მზიდუნარიანი ლაქის და ემალის დანაფარები.

ფერი / შეფერადება:

გამჭირვალე პროდუქტი არ კოლირდება.

სიბრიალის ხარისხი:

პრიალა

ხელსაწყოები / ტემპერატურა:

დაიტანეთ ფუნჯით, გორგოლაჭით ან მიფრქვევის აპარატით. გამოყენების შემდეგ ხელსაწყოები განმინდეთ Alpina-ს გამხსნელით - "უაით სპირიტი".

შრობის დრო / გამოყენების პირობები:

(20±2)°C ტემპერატურისა და (65±5)% ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი მშრალია 4 საათის შემდეგ, 24 საათის შემდეგ შეიძლება შემდეგი ფენის დატანა. ზედაპირზე სიარული შესაძლებელია 3 დღის შემდეგ.

დატანის მეთოდები / ხარჯი:

გამოყენების წინ საფუძვლიანად ამოურიეთ პროდუქტი. დაიტანეთ 2-3 ფენა. ხარჯი: 80 მლ/მ² - ერთი ფენა.

დაფარვის სტრუქტურა / გაზაფხა:

საგრუნტი, შუალედური და საბოლოო ფენა: Alpina Yacht გაუზაფხელი.

შემადგენლობა:

ალკიდ-პოლიურეთანის ფისი, უაით სპირიტი, დანამატები. ევროპული ნორმების მიხედვით, ამგვარ ნაწარმში აქროლადი ორგანული ნაერთების (VOC) ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია (კატ. A/a) არ უნდა აღემატებოდეს 500 გ/ლ. ეს ნაწარმი შეიცავს < 450 გ/ლ VOC-ს.



YACHT

ზედაპირის მომზადება

ზედაპირის მომზადება:

მოაშორეთ ზედაპირს ქუჭყი და გამყოფი ნივთიერებები (ცხიმი). საჭიროების შემთხვევაში ზედაპირი უნდა გაიშლიფოს. მოაშორეთ მტვერი.

ზედაპირები არამზიდი დანაფარებით

არამზიდი ლაქების და ემალების დანაფარები სრულად მოაშორეთ ზედაპირს.

ზედაპირი	დანიშნულება	ზედაპირის მომზადება	დაგრუნტვა	შუალედური ფენა	დამასრულებელი ფენა
ხე, ხის მასალები	ინტერიერი	გაიშლიფოს, გაინმინდოს	Alpina Yacht, 10-15%-ით გაზავებული Grundierung für Holz, Alpina Lasur für Holz	-	Alpina Yacht
	ექსტერიერი	გაიშლიფოს, გაინმინდოს		2x Alpina Yacht	Alpina Yacht
ძველი მზიდი დანაფარი	ინტერიერი/ექსტერიერი	გაიშლიფოს, გაინმინდოს	გამზადდეს და ზედაპირის მიხედვით გრუნტით გამოსწორდეს დეფექტები	Alpina Yacht	Alpina Yacht

ხარჯი

დატანა	ფუნჯით	გორგოლაჭით	მიფრქვევით
მლ/მ ²	80-90	80-90	90

დამატებითი ინფორმაცია

გთხოვთ გაითვალისწინოთ:

აალებადი სითხე და ორთქლი. განმეორებითმა კონტაქტმა შესაძლოა გამოიწვიოს კანის სიმშრალე და გაღიზიანება. შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას. მოარიდეთ სითბოს/ცეცხლს/ცხელ ზედაპირებს/აალებად წყაროებს. არ მოწიოთ პროდუქტის გამოყენების დროს. მოარიდეთ თვალში, კანზე ან ტანსაცმელზე მოხვედრას. გამოიყენეთ მხოლოდ ღია ან კარგად განიავებად სივრცეებში. არ დაუშვათ პროდუქტის ან მისი ნარჩენების კანალიზაციაში, წყალში ან ნიადაგში მოხვედრა. გადაყლაპვის შემთხვევაში არ გამოიწვიოთ პირღებინება. შეიცავს ბუთანონოქსიმს და პროპიკოჰაზოლს. შესაძლებელია გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები.

შენახვის პირობები:

შეინახეთ მჭიდროდ დახურულ შეფუთვაში, გრილ, ყინვისაგან დაცულ ადგილას არანაკლებ +5°C და არა უმეტეს +20°C ტემპერატურაზე. ორიგინალურ შეფუთვაში პროდუქტი ვარგისია 3 წლის განმავლობაში.

უტილიზაცია:

საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებელია უტილიზირებულ იქნას ძველი საღებავების მიმღებ პუნქტში, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნაგავი.

ტექნიკური ინფორმაცია № 465_RU 2017 წლის აგვისტოს მდგომარეობით

ეს ტექნიკური ინფორმაცია შედგენილია ტექნიკის უახლესი დონისა და ჩვენი გამოცდილების საფუძველზე. ზედაპირებისა და ობიექტური პირობების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, მყიდველი/მომხმარებელი ვალდებულია, ჩვენი მასალები მიზანშეწონილი დანიშნულების მხრივ შესაბამისი ობიექტის პირობებში შეამოწმოს. ხელახალი გამოცემის შემთხვევაში ეს დოკუმენტი კარგავს ძალას.



შპს „კაპაროლ ჯორჯია“ ფირმათა ჯგუფ DAW-ს სანარმო ალ. ქართველიშვილის ქ. N8, 0198 თბილისი საქართველო, ტელ: +995 322 121 505, ელ-ფოსტა: office@caparol.ge